წარუმატებლობის შიში, ცხოვრებით კმაყოფილება და აკადემიური მოსწრება სტუდენტებში

თამარ ქუმარიტაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია წერეთელი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ქუმარიტაშვილი

18.06.2026

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო წარუმატებლობის შიშის, ცხოვრებით კმაყოფილებისა და აკადემიური მოსწრების ურთიერთმიმართების შესწავლა სტუდენტებში. ასევე იმის დადგენა, წარმოადგენენ თუ არა წარუმატებლობის შიში და ცხოვრებით კმაყოფილება აკადემიური მოსწრების პრედიქტორებსა და არსებობს თუ არა სქესთაშორისი განსხვავებები წარუმატებლობის შიშის დონეებს შორის. კვლევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის 160 სტუდენტმა (126 ქალი და 34 კაცი). მონაცემების შესაგროვებლად გამოყენებული იყო წარუმატებლობის შიშის შეფასების კითხვარი (PFAI; Conroy, 2003), ცხოვრებით კმაყოფილების სკალა (Diener et al., 1985) და თვითშეფასებითი აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი. მონაცემთა ანალიზი განხორციელდა SPSS-ის პროგრამის გამოყენებით. კვლევის ჰიპოთეზების შესამოწმებლად გამოყენებული იყო როგორც, კორელაციური ანალიზი, ასევე მრავლობითი რეგრესია და დამოუკიდებელი შერჩევების t-ტესტი. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ცხოვრებით კმაყოფილებასა და აკადემიურ მოსწრებას შორის არსებობს სუსტი, მაგრამ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი კორელაცია. ($r = .160$, $p < .05$). ასევე გამოვლინდა მოულოდნელი შედეგი, რომლის მიხედვითაც წარუმატებლობის შიში აკადემიურ მოსწრებასთან სუსტად, თუმცა დადებითად და სტატისტიკურად მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული ($r = .205$, $p < .01$). რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ როგორც ცხოვრებით კმაყოფილება ($\beta = .265$, $p = .001$), ისე წარუმატებლობის შიში ($\beta = .298$, $p < .001$), აკადემიური მოსწრების მნიშვნელოვანი დადებითი პრედიქტორებია. ამასთან, წარუმატებლობის შიშსა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის გამოვლინდა საშუალო სიძლიერის უარყოფითი კორელაცია ($r = -.352$, $p < .001$). სქესთაშორისი განსხვავებების ანალიზმა აჩვენა, რომ ქალებს სტატისტიკურად მნიშვნელოვნად უფრო მაღალი წარუმატებლობის შიში ახასიათებთ, ვიდრე კაცებს. მიღებული შედეგები ადასტურებს ცხოვრებით კმაყოფილების მნიშვნელობას აკადემიურ მოსწრებაში და მიუთითებს, რომ წარუმატებლობის შიშს, გარკვეულ პირობებში, შესაძლოა მოტივაციური ფუნქციაც კი ჰქონდეს. კვლევა ხაზს უსვამს ემოციური და

ფსიქოლოგიური ფაქტორების მნიშვნელობას სტუდენტთა აკადემიური წარმატებისთვის.

საკვანძო სიტყვები: წარუმატებლობის შიში, ცხოვრებით კმაყოფილება, აკადემიური მოსწრება, სტუდენტები.

Abstract

The aim of this study was to examine the relationships between fear of failure, life satisfaction, and academic achievement among university students. It also explored whether fear of failure and life satisfaction predict academic achievement and whether there are gender differences in levels of fear of failure. The study included 160 students (124 women and 36 men) from various universities across Georgia. Data were collected using the Performance Failure Appraisal Inventory (PFAI; Conroy, 2003), the Satisfaction with Life Scale (Diener et al., 1985), and a self-reported measure of academic achievement. Statistical analyses were conducted using SPSS. The study hypotheses were tested through correlation analysis, multiple regression analysis, and an independent-samples t-test.The findings revealed a weak but statistically significant positive correlation between life satisfaction and academic achievement ($r = .160$, $p < .05$). An unexpected finding was that fear of failure was also weakly but positively associated with academic achievement ($r = .205$, $p < .01$). Multiple regression analysis showed that both life satisfaction ($\beta = .265$, $p = .001$) and fear of failure ($\beta = .298$, $p < .001$) were significant positive predictors of academic achievement. In addition, a moderate negative correlation was found between fear of failure and life satisfaction ($r = -.352$, $p < .001$). The analysis of gender differences indicated that women reported significantly higher levels of fear of failure than men. Overall, the findings highlight the importance of life satisfaction for students' academic achievement and suggest that, under certain circumstances, fear of failure may also serve a motivational role. The study emphasizes the contribution of emotional and psychological factors to academic success among university students.

Keywords: fear of failure, life satisfaction, academic achievement, university students.

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ მაია წერეთელს, სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის, რჩევებისა და მუდმივი უკუკავშირისათვის. ასევე მადლობას ვუხდი თითოეულ სტუდენტს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კვლევაში.